დანართი

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის მ.შ-ის

2025 წლის 05 მარტის №01-02/45 -ბრძანებით

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“

პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები

მუხლი 1: რეგულაციის მიზანი და დანიშნულება

1.1. რეგულაციის მიზანია განსაზღვროს სსიპ კოლეჯის ,,ბლექსის" კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების და კურსდამთავრებულების პროფესიულ და პირად განვითარებას.

1.2. რეგულაცია მოიცავს სერვისებს, რომლებიც მიმართულია პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირების და კარიერული განვითარების მიმართულებით.

მუხლი 2: კარიერული ორიენტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

2.1. დაწესებულება ვალდებულია რეგულარულად აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, ღონისძიებები, ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მოტივაციას პროფესიული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე,

2.2. კარიერული ორიენტაციისა და პროფესიული განვითარების მენეჯერი პასუხისმგებელია სტუდენტებს სისტემატურად მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ კარიერაში განვითარებას.

მუხლი 3: კარიერული მომსახურება

დაწესებულება უზრუნველყოფს:

3.1. სტუდენტებისთვის კოლეჯის კარიერული მომსახურების სერვისების გაცნობას,

3.2. პროფესიული სტუდენტების/ მსმენელებისთვის ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩატარებას კარიერის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით (მათ შორის, CV- ის, სამოტივაციო წერილის მომზადების მხარდაჭერა, გასაუბრებისათვის მომზადება, დასაქმების საკითხებზე კონსულტაციების გაწევა, კარიერული გეგმის შემუშავება),

3.3. linkedIn -ზე სტუდენტების, მსმენელების რეგისტრაციის მხარდაჭერას,

3.4. კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.;

მუხლი 4: დასაქმების შესაძლებლობების ინფორმაცია

4.1. დაწესებულება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად აწვდის განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების/ვაკანსიების და ზოგადად შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ახდენს მათ კონსულტირებას, რაც ხორციელდება როგორც დაწესებულების მხრიდან

პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიერ მომართვის შემთხვევაშიც.

4.3. დაწესებულება გამოიყენებს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს ვაკანსიებისა და კარიერული შესაძლებლობების გასაზიარებლად.

4.4. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მხარდაჭერას დამსაქმებლებთან პირდაპირი კონტაქტის გასამარტივებლად.

4.5. დაწესებულება მართავს მოლაპარაკებებს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით და რეგულარულად აწოდებს ინფორმაციას დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და აღნიშნულ კომპანიათა მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

მუხლი 5: კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა

5.1. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი აწარმოებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს,

5.2. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შესაბამისი ვაკანსიების შესახებ ახდენს ჯგუფური შეხვედრების ფარგლებში. კურსდამთავრებულთა ინფორმირება კი ხორციელდება ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით.

5.3. დაწესებულება ატარებს კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუადრეს 12 და არაუგვიანეს 36 თვისა, ასევე, ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანია, განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს.

მუხლი 6: საბოლოო დებულებება

6.1. აღნიშნული რეგულაცია ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

6.2. რეგულაციის შესრულების პასუხისმგებლობა აკისრია პროფორიენტაციისა და კარიერულ მენეჯერს, ხოლო მისი მონიტორინგი განხორციელდება კოლეჯის დირექტორის მოადგილის მიერ.